საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენა სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე

ქეთი დვალიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ქეთი დვალიშვილი

15.06.2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეისწავლოს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენა სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე, როგორც დემოკრატიულ, ისე, არადემოკრატიულ ქვეყნებში. ამისთვის გამოყენებულია საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინაში არსებული ტრანსნაციონალური თეორია და მის საფუძველზე ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზები, რომლებიც უკავშირდება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების როლს, გავლნესა და ეფექტურ ფუნქციონირებას. თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციებიც მნიშვნელოვნად არიან ჩართულნი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში. შესაბასად, საინტერესოა შეფასდეს არასამთავრობო სექტორის როლი და გავლენა სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე.

საკვლევ მეთოდათ ნაშრომი იყენებს თვისებრივ კვლევას და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად შემთხვევების შესწავლის (Case-Study) მეთოდს ირჩევს. შესასწავლი საკითხის ტიპოლოგიიდან გამომდინარე ცვლადებს შორის კორელაციის დადგენისა და მათ შორის კაუზალური კავშირების გადამოწმებისთვის ნაშრომი ამავდროულად იყენებს ე.წ. პროცესების მიდევნის (Process Tracing) ტექნიკას, რაც შესაძლებლობას იძლევა დაადგინოს კვლევის დამოუკიდებელი ცვლადი/ცვლადების გავლენა დამოკიდებულ ცვლადზე/ცვლადებზე. ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი ცვლადი არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, ხოლო დამოკიდებული ცვლადი კი სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელზეც გავლენას ახდენს არასამთავრობო ორგანიზაციები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ არსებობის დიდი ხნის ისტორია, სარგებლობენ ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერით, აქტიურად ფუნქციონირებენ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, არ ფინანსდებიან მთავრობების მიერ და ანგარიშვალდებულნი არიან მხოლოდ მოქალაქეების წინაშე. შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა სახელმწიფო პოლიტიკაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, დემოკრატიული და არადემოკრატიული ქვეყნები, სახელმწიფო პოლიტიკა.

Abstract

The present thesis deals with studying the impact of international non-governmental organizations on state politics both in democratic and non-democratic countries. A transnational theory existed in scientific discipline of international relations is used and hypothesis are developed based on it, related to the role, impact and effective functioning of international non-governmental organizations. Nowadays non-governmental organizations are substantially engaged in establishing state politics together with the state organizations. Accordingly, it is essential to evaluate the role and impact of non-governmental sector on state politics.

Thesis uses qualitative study as Research method and case-study as a basic methodological attitude. Proceeding from typology of the study subject , with the purpose of establishing correlation between variables and examining causal relations between them, thesis also uses so called Process Trading technique, which enables us to establish how do independent variable/variables of the research influence dependent variable/variables. In this case international non-governmental organizations represent independent variables and state politics represent a dependent variable, influenced by non-governmental organizations.

As a result, the study showed, that international non-governmental organizations, having a long history of existence, benefitting from wide support from society, actively functioning in democratic states, not funded by the state, perform transparent activities and bear the responsibility only before the citizens, can have an essential impact on state politics.

Key search keywords: international non-governmental organizations, democratic and non-democratic countries, state policy.